

თეთრიწყაროს რაიონში
ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების
კომპლექსური ტექნიკური ანგარიში
(ძეგლი IV-260, ადგილი სხალთა, მე-80 კმ)

ავტორები

ზებელე შატბერაშვილი, ვახტანგ ნიკოლაიშვილი, ვახტანგ შატბერაშვილი

მომზადდა
საქართველოს ეროვნული მუზეუმის
ოთარ ლორთქიფანიძის
არქეოლოგიის ცენტრი
უზნაძის ქ. №14
0102 თბილისი, საქართველო

გადაეცა
BTC/SCP მიღსადენების კომპანიას
საბურთალოს ქ. №38
0194 თბილისი, საქართველო

სამუშაო შესრულდა კონტრაქტების საფუძველზე
C-06-BTC-111082
C-06-SCP-111083
HL-236

სარჩევი

მოკლე მიმოხილვა

1.0 შესავალი

2.0 გარემო ფონი

2.1 ძეგლის მდებარეობა და აღწერა

2.2. წარსული გარემო

2.3. მიწის გამოყენების ისტორია

3.0. კულტურულ ფონი

3.1. პრეისტორიული და ისტორიული კონტექსტი

3.2. წარსულში ჩატარებული კვლევების მიმოხილვა

4.0 მეთოდოლოგია

4.1. საველე მეთოდები

4.2. ლაბორატორიული მეთოდები

5.0 შედეგები

5.1. ძირითადი მონაცემების მომხილვა

5.2 ძეგლები

5.3 არტეფაქტები

6.0 ინტერპრეტაცია

7.0 დასკვნები და რეკომენდაციები

8.0 ბიბლიოგრაფია

დანართების სია

დანართი A კერამიკული ჭურჭლის რესტავრაცია-კონსერვაციის ანგარიში

დანართი B ლითონის მასალის კვლევის ანგარიში

დანართი C ანთროპოლოგიური კვლევის ანგარიში

დანართი D პალეოზოოლოგიური კვლევის ანგარიში

დანართი E პალეობოტანიკური კვლევის ანგარიში

დანართი F პალინოლოგიური კვლევის ანგარიში

ტაბულების სია

ტაბ I – რუკა - ძეგლ სხალთის მდებარეობა საქართველოში

ტაბ. II – IV-260. KP 80+600, სხალთა, გენერალური გეგმა;

ტაბ. III

1. - IV-260. KP 80+600, სხალთა, სახლი № 3;

2. - სახლი № 3;

ტაბ. IV

1. - IV-260. KP 80+600, სხალთა, სახლი № 3, სათავსი 1;

2. - სახლი № 3, ღუმელი;

ტაბ. V

1.- IV-260. KP 80+600, სხალთა, სახლი № 3, სათავსი № 2, ღუმელი;

2. - სახლი № 3, სათავსი № 2, ღუმელი;

ტაბ. VI – IV-260. KP 80+600, სხალთა, სახლი № 3, გეგმა და ჭრილი;

ტაბ. VII – IV-260. KP 80+600, სხალთა, სახლი № 5, გეგმა და ჭრილი;

ტაბ. VIII – IV-260. KP 80+600, სხალთა, ორმო №4, გეგმა და ჭრილი;

ტაბ. IX – IV-260. KP 80+600, სხალთა, ორმო №4–ში მოპოვებული
კერამიკული მასალა, ინვ. №№ 296, 300, 304, 306, 307, 310, 311;

ტაბ. X – IV-260. KP 80+600, სხალთა, სამაროვანი, გეგმა და ჭრილი;

ტაბ. XI

1. IV-260. KP 80+600, სხალთა, სამაროვანი, ხედი ჩრდილოეთიდან;

2. IV-260. KP 80+600, სხალთა, სამაროვანი, სამარხი №13 გათხრამდე;

ტაბ. XII

1. IV-260. KP 80+600, სხალთა, სამაროვანი, სამარხი №13 გეგმა და ჭრილი;

2. IV-260. KP 80+600, სხალთა, სამაროვანი, სამარხი №29 გეგმა და ჭრილი;

3. IV-260. KP 80+600, სხალთა, სამაროვანი, სამარხი №50, გეგმა და ჭრილი;

ტაბ. XIII – IV-260. KP 80+600, სხალთა, ნასახლარსა და სამაროვანზე
მოპოვებული კერამიკული მასალა, ინვ. №№76, 86, 300, 304;

ტაბ. XIV – IV-260. KP 80+600, სხალთა, სამაროვანზე მოპოვებული
კერამიკული მასალა, ინვ. №№ 17, 18, 44, 54, 55;

ტაბ. XV – IV-260. KP 80+600, სხალთა, სამაროვანზე მოპოვებული
კერამიკული მასალა, ინვ. №№ 93, 94, 104, 199;

ტაბ. XVI – IV-260. KP 80+600, სხალთა, სამაროვანზე მოპოვებული
კერამიკული მასალა, ინვ. №№ 143, 144, 145, 146, 147, 166, 168, 169, 170;

ტაბ. XVII – IV-260. KP 80+600, სხალთა, სამაროვანზე მოპოვებული
კერამიკული მასალა, ინვ. №№ 45, 48, 49, 50, 51, 150, 151;

ტაბ. XVIII – IV-260. KP 80+600, სხალთა, სამაროვანზე მოპოვებული
კერამიკული მასალა, ინვ. №№ 172-1, 173-1, 188, 189, 201, 204;

ტაბ. XIX – IV-260. KP 80+600, სხალთა, სამაროვანზე მოპოვებული
კერამიკული მასალა, ინვ. №№ 36, 37, 38, 42, 65, 67, 68, 78, 109, 110;

ტაბ. XX – IV-260. KP 80+600, სხალთა, სამაროვანზე მოპოვებული
კერამიკული მასალა, ინვ. №№ 34, 35, 39, 59, 60;

ტაბ. XXI – IV-260. KP 80+600, სხალთა, № 13 სამარხის ინვენტარი;

ტაბ. XXII – IV-260. KP 80+600, სხალთა, № 17 სამარხის ინვენტარი;

ტაბ. XXIII – IV-260. KP 80+600, სხალთა, № 33 სამარხის ინვენტარი;

ტაბ. XXIV – IV-260. KP 80+600, სხალთა, № 36 სამარხის ინვენტარი;

ტაბ. XXV – IV-260. KP 80+600, სხალთა, № 43 სამარხის ინვენტარი.

ტაბ. XXVI – IV-260. KP 80+600, სხალთა, ღლითონის მასალა

რესტავრაციამდე -სურ 1,2,4 და რესტავრაციის შემდეგ - სურ 3;

არქეოლოგიური გათხრები ძეგლ IV-260 სხალთაზე, მე-80 კმ, თეთრიწყაროს რაიონი

ტაბ. XXVII – IV-260. KP 80+600, სხალთა, ორგანული ჩანარები რკინის მასლაზე;

ტაბ. XXVIII – IV-260. KP 80+600, სხალთა, ანთროპოლოგიური მასალა სამაროვნიდან;

ტაბ. XXIX – IV-260. KP 80+600, სხალთა, პალეოზოოლოგიური მასალა
1.— სამარხი № 37, ბურვაკის ერთი უკანა ფეხის ძვლები: ბარძაყის ძვალი, დიდი ტერფის ძვალი, ფიბულა, მენჯის ძვლის ფრაგმენტები, კოჭი და ქუსლის ძვალი;

2. – სამარხი №19 , ძროხის ორი ქვედა ყბის ფრაგმენტები;

3- მეტატარზალური და მეტაკარპალური ძროხის ძვლები ნამოსახლარის კულტურული ფენიდან;

ტაბ. XXX – IV-260. KP 80+600, სხალთა, სამარხი № 48, ბრინჯაოს სამაჯურზე აღმოჩენილი სელის ტექსტილი (X20);

ტაბ. XXXI - IV-260. KP 80+600, სხალთა,

1.- სამარხი № 4, ბამბის ტექსტილი (X-25);

2. - სამარხი 48, სელის ტექსტილი (X 15)

ტაბ. XXXII- IV-260. KP 80+600, სხალთა, სამარხი 48, სელის ტექსტილის ბოჭკოები (X 300);

ტაბ. XXXIII- IV-260. KP 80+600, სხალთა, სხალთა, ბამბის ტექსტილის ბოჭკოები (X 300);

ტაბ. XXXIV- IV-260. KP 80+600, სხალთა, სამარხებში აღმოჩენილი მტვრის მარცვლები: 1,2 – კაკალი; 3,4- რცხილა; 5-10- კულტურული ვაზი; 11- არყა; 12- ბოყვი; 13 ნაძვი; 14 ხორბალი; 15-17 გვიმრის სპორა

მოკლე მიმოხილვა

BTC და SCP მილსადენების მშენებლობასთან დაკავშირებული გადარჩენითი და კვლევითი არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარებულ იქნა თეთრიწყაროს რაიონში, ადგილ სხალთაზე, მე-80 კილომეტრზე, ძეგლ IV-260-ზე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის მიერ. ამ ანგარიშის თემას წარმოადგენს აღნიშნულ ძეგლზე 2004 – 2007 წლებში წარმოებული არქეოლოგიური საველე და ლაბორატორიული სამუშაოების შედეგები.

არქეოლოგიური გათხრები მილსადენების ტრასისათვის განკუთვნილი, ლიმიტირებული კოროდორის ფარგლებში იწარმოებოდა, რის შედეგადაც სრულად ვერ იქნა გათხრილი და შესწავლილი არქეოლოგიური უბანი, რომელმაც გამოავლინა ძვ.წ. IV-III საუკუნეების ნასახლარი და მისი სინქრონული სამაროვანი. ნასახლარი რამოდენიმე საცხოვრებელი სახლისა და სამეურნეო თუ სარიტუალო ორმოსაგან შედგებოდა, სამაროვანი კი ძირითადად მართკუთხა ქვასამარხებისაგან. მოპოვებული არტეფაქტებიდან შედარებით ნაკლები ნასახლარზე აღმოჩნდა, უმრავლესი კი სამაროვანზე.

არქეოლოგიურ უბანზე შეგროვდა ანთროპოლოგიური, პალეოზოოლოგიური და პალინოლოგიური მასალა, რომელთა ანალიზებმაც მნიშვნელოვანი მონაცემები მოგვცა წინარეელინისტური და ელინისტური ხანის პალეოგარემოს რეკონსტრუქციისათვის.

სამშენებლო სამუშაოების წარმოება ამ უბანზე და მის ახლოს არ არის რეკომენდირებული, რადგანაც ძეგლი ნაწილობრივ იქნა გათხრილი და მისი გავრცელების არეალი სრულად ვერ განისაზღვრა. სავარაუდოდ ძეგლის მნიშვნელოვანი ნაწილი როგორც ჩრდილოეთით ისე სამხრეთით მიწით დაფარული და შეუსწავლელი დარჩა.

ძვ. წ. IV-III საუკუნეების ნასახლარისა და მისი თანადროული სამაროვნის არსებობა ქვემო ქართლის რეგიონში ასე ნათლად აქამდე დადასტურებული არ იყო. შესაბამისად ძეგლის გათხრის პროცესში და მასალის ლაბორატორიული დამუშავების შემდეგ წამოიჭრა რიგი საკვლევი თემებისა, რომლების აქტუალურია ამ პერიოდის ქვემო ქართლის ყოფა-ცხოვრების შესასწავლად, მაგალითად:

- დასახლების ტიპი იბერიის სამეფოს ჩამოყალიბების ეპოქაში
- მეურნეობის დარგები
- არქიტექტურა და ინტერიერი
- დემოგრაფიული მდგომარეობა
- გარესამყაროსთან ურთიერთობა

ცხადია, მომავალში ამ თემების საკვლევად საჭიროა დამატებითი გათხრების ჩატარება დაუზიანებელ მიწის ფართობობზე, რათა მოპოვებულ იქნას უფრო სრული და საჭირო ინფორმაცია.

1.0 შესავალი გათხრების მიზანი

BTC და SCP მილსადენების მშენებლობის პროცესში გამოვლენილი ძვ.წ. IV-III საუკუნეების ნასახლარისა და სამაროვნის ნაშთების გადარჩენა და მისი შეძლებისდაგვარად გამოკვლევა წარმოადგენდა გათხრების მიზანს, რომელიც იწარმოებოდა თეთრიწყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, ზეზედ შატბერაშვილის ხელმძღვანელობით. ადგილ სხალთაზე გათხრების შედეგად გამოვლინდა ნასახლარი მისი თანადროული სამაროვნით, სულ ხუთი შენობა, 17 ორმო და 51 სამარხი (ტაბ. I).

პროექტის დამფინანსებელი

საველე კვლევა-ძიება და ლაბორატორიული სამუშაოები დაფინანსებული იყო BTC/SCP მილსადენების კომპანიების მიერ.

ნებართვები და კონტრაქტები

ნებართვა №9, ფორმა №1 გაიცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული არქეოლოგიური კომისიის მიერ ზეზედ შატბერაშვილის სახელზე, თეთრიწყაროს რაიონში მე-80+600 კილომეტრზე არქეოლოგიური კვლევა-ძიების ჩასატარებლად.

აღნიშნული სამუშაოებით მიმდინარეობდა შემდეგი კონტრაქტების საფუძველზე: საველე სამუშაოები HL-078, HL-122, HL-166, HL-175, HL-151, HL-154, HL-157, HL-161, HL-173; ლაბორატორიული სამუშაოები HL-201, HL-215, HL-224.

სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული არქეოლოგიური კომისია უფლებამოსილი იყო ნებართვა გაეცა ყველანაირი არქეოლოგიური სამუშაოების წარმოებაზე საქართველოს ტერიტორიაზე. არქეოლოგიური სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო არქეოლოგიური კომისიის მოთხოვნების შესაბამისად.

გათხრების თარიღი

ადგილ სხალთაზე არქეოლოგიური გათხრები იწარმოებოდა 2004 წლის ოქტომბერსა და 2005 წლის ივნისის, ივლისის, აგვისტოსა და სექტემბრის თვეებში.

საველე სამუშაოები ძირითადად SCP მილსადენის მხარეს წარიმართა, რადგანაც BTC მილსადენის მხარეს მუშაობა შეზღუდული იყო. ამიტომ ძეგლის ჩრდილოეთი და სამხრეთი ნაწილი შეუსწავლელი დარჩა და ვერ განისაზღვრა ნასახლარისა და სამაროვნის გავრცელების არეალი.

მასალის შენახვის ადგილი

ძეგლ IV-260-ზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა და მასთან დაკავშირებული საველე თუ ლაბორატორიული ანგარიშები ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრში, ოთახი №5, უზნაძის 14, 0102 თბილისი, საქართველო
ტელ. 995 32 952920

2.0 გარემო ფონი

2.1 არქეოლოგიური უბნის ადგილმდებარეობა და აღწერილობა

ძეგლი IV-260 მდებარეობს ქალაქ თეთრიწყაროს სამხრეთით 3 კილომეტრის მოშორებით, თეთრიწყაროს რაიონში, ქვემო ქართლის რეგიონში. იგი განვრცობილია მცირედ დაფერდებულ 1000 მ² ფართობზე, ზღვის დონიდან 1100 მეტრის სიმაღლეზე. ძეგლის სამხრეთით დაახლოებით 500 მეტრის მოშორებით მიედინება მდინარე ჭიჭკვავე. ძეგლის გათხრისას ჭრილში გამოვლინდა სხვადასხვა ტიპის ნიადაგების მონაცვლეობა, რომლებიც ორი მეტრის სიღრმეზე არსებულ კლდოვან დედაქანს ფარავდა. 30-40 სმ-ის სისქის შავი ფერის ჰუმუსოვანი ნიადაგის ქვეშ 50 სმ-ის სისქის მოყვითალო თიხნარი ნიადაგი იყო. მის ქვეშ კი მსგავს მოყვითალო ფერის თიხნარს კირის ჩანარები ერია.

ძეგლის ტერიტორია ბაღახოვანი საფარით, ბუჩქნარით და იშვიათი ტყით იყო დაფარული.

2.3 მიწის ფართობით სარგებლობის ისტორია

ძეგლი მდებარეობს დაფერდებულ ადგილზე, რომელიც მილსადენების მშენებლობის დაწყებამდე გაიწმინდა მცენარეული საფარისაგან. ახლო წარსულში ეს ადგილი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის გამოიყენებოდა. ამჟამად კი მხოლოდ საძოვრის ფუნქცია ეკისრება.

არქეოლოგიური გათხრები ძეგლ IV-260 სხალთაზე, მე-80 კმ, თეთრიწყაროს რაიონი

3.0 წარსულში ჩატარებული კვლევის მიმოხილვა

უბან სხალთაზე, ძეგლ IV-260 ერთი კილომეტრის რადიუსში არქეოლოგიური ძეგლი არ აღმოჩენილა.

4.0 მეთოდოლოგია

4.1 საველე მეთოდები

თავდაპირველად არქიტექტორმა თეოდოლიტის დახმარებით შეადგინა ტოპოგრაფიული რუკა, რომელზეც დატანილ იქნა პირობითი ნულოვანი წერტილი. ნულოვანი წერტილი საკვლევ ტერიტორიაზე იქნა აღებული. ძეგლი დაკვადრატდა აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით. კვადრატის ზომა 36 მ² (6მX6მ) იყო. ზოგიერთი მონაკვეთი, საჭიროების მიხედვით, უფრო მცირე 4 მ² (2მX2მ) კვადრატებადაც დაიყო. კვადრატების ღერძები დაინომრა აღმოსავლეთიდან დასავლეთით და ჩრდილოეთითან სამრეთით.

ძეგლის გავრცელების არეალის დასადგენად საკვლევ უბანზე სულ ექვსი საცდელი თხრილი გაკეთდა. აქედან ორი 20მX2მ ზომის, ორი 30მX2მ და ორი 6მX3მ. რის შემდეგადაც მოხდა ჰუმუსოვანი ფენის აღება. ჰუმუსის მოხსნამ გამოავლენა სამარხთა სახურავები და ნამოსახლარი ფენა.

არქეოლოგიური გათხრები ძირითადად ხელით იწარმოებოდა, ბარის, ნიჩაბის, წერაქვის, დანის, ლანცეტისა და ფუნჯის საშუალებით. ხოლო მილსადენების მშენებლობის პროცესში საკვლევ ტერიტორიაზე დაგროვილი ნაყარი მიწის გატანა მოხდა მძიმე ტექნიკის დახმარებით.

არტეფაქტები ძირითადად კულტურული ფენებიდან იქნა მოპოვებული. მხოლოდ მცირე ნაწილი წარმოადგენდა შემთხვევით მონაპოვარს.

დამატარიღებელი არტეფაქტების საშუალებით წინასწარულად გამოყენებულ იქნა შედარებითი ქრონოლოგია.

გათხრების სხვადასხვა ეტაპზე მოხდა ძეგლისა და მისი ყველა კომპონენტის ჩახატვა და ფოტო ფიქსაცია.

ძეგლზე შეგროვდა ანთროპოლოგიური, პალეოზოოლოგიური, პალეობოტანიკური და პალინოლოგიური მასალა, რომელიც შესასწავლად გადაეცათ შესაბამის სპეციალისტებს. დაწვრილებითი ინფორმაცია მათი კვლევის მეთოდების შესახებ იხილეთ დართულ ინტერდისციპლინარულ ანგარიშებში.

ყველა მოპოვებული არტეფაქტი წადებული იქნა ველიდან ლაბორატორიული დამუშავებისათვის.

4. 2 ლაბორატორიული მეთოდები

არტეფაქტები დაჯგუფდა მასალის მიხედვით. თიხის არტეფაქტები ფუნჯით გაიწმინდა და გაირეცხა მარილმჟავას ხსნარით გაზავებულ წყალში. რის შემდეგადაც ჩატარდა მათი სტილისტური და ტიპოლოგიური ანალიზი.

ყველა არტეფაქტი დაინომრა, აღიწერა და გატარდა კატალოგში, გაუკეთდა ეტიკეტი და მოთავსდა პოლიეთილენის პარკში.

ჩატარდა პალეოანთროპოლოგიური, პალეოზოოლოგიური, პალეობოტანიკური, პალინოლოგიური და ლითონის ქიმიურ-ტექნოლოგიური ლაბორატორიული სამუშაოები, რესტავრაცია-კონსერვაცია ჩაუტარდა ლითონისა და კერამიკის ნივთების ნაწილს. ანალიზის მეთოდები დეტალურად აღწერილია დართულ ინტერდისციპლინარულ ანგარიშებში.

საველე და ლაბორატორიულ სამუშაოებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ელექტრონული და ნაბეჭდი ვერსიები ინახება

არქეოლოგიური გათხრები ძეგლ IV-260 სხალთაზე, მე-80 კმ, თეთრიწყაროს რაიონი

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ოთარ ლორთქიფანძის
არქეოლოგიის ცენტრში

5.0 შედეგები

5.1 ძირითადი მონაცემების მიმოხილვა

სხალთის ნამოსახლარსა და სამაროვანზე ჩატარებული გათხრები 1000 მ² ფართობს მოიცავდა. გაიჭრა ექვსი სხვადასხვა ზომის საცდელი თხრილი. ორი მათგანი 20 მ X 2 მ ზომის, ორი 30 მ X 2 მ ზომის და ორი 6 მ X 3 მ, რომელმაც გამოავლინა ექვსი ნაგებობის ნაშთი (ტაბ. III 1,2; IV 1,2; V 1,2; VI; VII.), 17 სამეურნეო ორმო (ტაბ. VIII) და 60 სამარხი (ტაბ II; X; XI 1,2; XII 1, 2, 3), რომელთაგან 10 უინვენტარო აღმოჩნდა. ნაგებობებიდან მხოლოდ ხუთი გაითხარა. რადგანაც მეექვსე ნაგებობა ლიმიტირებული კორიდორის გარეთ ვრცელდებოდა და მხოლოდ მისი კუთხის გამოვლენა მოხერხდა.

ძეგლები ძირითადად 500 მ² ფართობზე იყო კონცენტრირებული. სულ მოპოვებულ იქნა 413 არტეფაქტი, აქედან 236 თიხის ჭურჭელი, 134 ლითონის ნივთი, 18 ქვის, 18 მინის, სამი ძეგლის, ერთი ხის. ასევე აღმოჩნდა ქსოვილის ორი და ბათქაშის ერთი ნაშთი.

არტეფაქტებიდან გამოიყო 273 საყოფაცხოვრებო ნივთი, რვა საბრძოლო, ორი სარიტუალო, 120 სამკაული და ხუთი პირსაფარეშო დანიშნულების საგანი.

სხალთის ნასახლარი და სამაროვანი ერთფენიან ძეგლს წარმოადგენს, რომელიც მიწის თავდაპირველი დონიდან ერთი მეტრის სიღრმეზე იყო ჩატრილი თიხნარ გრუნტში. ნასახლარი და სამაროვანი ძირითადად ერთიდაიგივე პერიოდში ფუნქციონირებდა და ძვ. წ. IV-III საუკუნეებით თარიღდება.

5.2 ძეგლები

ნასახლარი სამაროვნის აღმოსავლეთით და დასავლეთით დამრეც 350 მ² ფართობზე მდებარეობდა (ტაბ. III 1,2; IV 1,2; V 1,2; VI; VII.). ნასახლარზე ქვებით ნაგები და თიხით შელესილი, მართკუთხა ფორმის შენობები აღმოჩნდა. შენობების უკანა მხარე დედაქანში იყო ჩატრილი და ამოტომ ისინი ნახევრადმიწურს წარმოადგენდა. შესასვლელი სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ჰქონით. შენობების გადახურვა ბანური უნდა ყოფილიყო.

ნაგებობებიდან ყველაზე კარგად სახლი №3 შემორჩა. იგი საცხოვრებელს წარმოადგენდა და ორი სათავსოსაგან შედგებოდა, რომლის საერთო ფართიც დაახლოებით 60 მ² იყო. შენობის კედლები ერთი მეტრის სიმაღლეზე იყო შემორჩენილი. მათი სისქეც ერთ მეტრს აღწევდა. ინტერიერში ორგანოფილებიანი პურის საცხობი ორი ღუმელი შემორჩა რომელიც ქვითა და თიხით იყო ნაგები, ზედაპირი კი დიდი ზომის ჭურჭლების ფრაგმენტებით ფქონდა მოგებული. ღუმელების შემორჩენილი ზომები 1.20 მ X 0.8 მ X 0.4 მ იყო. ამავე შენობაში აღმოჩნდა 1.60 მ X 1.20 მ ზომის პროდუქტების შესანახი ხარო.

ნაგებობა № 5 ერთი სათავსოსაგან შედგებოდა, რომლის ჩვენამდე მოღწეული ზომები 7.5 მ სიგრძეს და 5.5 მ სიგანეს შეადგენს. შენობაში ხის დამწვარი მორების ნაშთები გამოვლინდა. მეხუთე შენობაც მესამე ნაგებობის მსგავსად უნდა ყოფილიყო აშენებული (ტაბ. VII).

ნასახლარის ტერიტორიაზე, ძირითადად მესამე შენობის გარეთ სამეურნეო-სარიტუალო ორმოები აღმოჩნდა, რომლებიც თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებით, ცხოველის ძვლებითა და სხვა ორგანული ნაშთებით იყო შევსებული. ორმოებს მრგვალი ან ოვალური ზედაპირი და ძირისკენ გაფართოებული ფორმა ჰქონდათ. ზედაპირის დიამეტრი 1.20 მ – 1.60 მ შორის მერყეობდა, ხოლო სიღრმე 0.80 მ – 1 მ (ტაბ. VIII).

სამაროვანი 150 მ² ფართობზე გამოვლინდა. იგი ჩრდილოეთით გაუთხრელ ტერიტორიაზეც ვრცელდებოდა (ტაბ. X, XI 1,2). სამარხები ერთმანეთის 0.50–1.50 მეტრის მოშორებით მდებარეობდა. ზოგ შემთხვევაში სამარხები ერთმანეთზე იყო განლაგებული (№№ 24/37; 52/53).

ძირითადად სამარხები რიგში ერთმანეთის მიყოლებით არის გამართული, ისე, რომ რადიალურად მიმავალი სამი-ოთხი რიგი ფიქსირდება. სამაროვანზე ორი ტიპის სამარხი აღმოჩნდა: ქვაყუთი და ორმოსამარხი. ქვაყუთი მართკუთხა ფორმის იყო და ბაზალტის უხეშად დამუშავებული ხუთი-ექვსი ფილისაგან შედგებოდა, რომლის ზომები 1-1.4 მ X 0.6-0.9 მ შორის მერყეობდა (ტაბ. XII 1, 2, 3).

ორმოსამარხს ოვალური ფორმა ჰქონდა და ქვის ფილით იყო გადახურული (ტაბ. XII, 3).

სამარხები ინდივიდუალური იყო. მიცვალებულები მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით იყვნენ დაკრძალულნი. ერთ შემთხვევაში მიცვალებული თავით აღმოსავლეთით დაუკრძალავთ.

თითქმის ყველა სამარხზე ან სამარხის გვერდზე შეწირული საქონლის ნაშთი აღმოჩნდა.

5.3 არტეფაქტები

სხალთის ნამოსახლარსა და სამაროვანზე გამოვლენილი 413 არტეფაქტი დაჯგუფებული მასალისა და ფუნქციის მიხედვით წარმოდგენილია №1 და №2 ცხრილებში.

ცხრილი №1 მასალის მიხედვით დაჯგუფებული არტეფაქტები

	ნამოსახლარზე მოპოვებული	სამაროვანზე მოპოვებული	უკონტექსტოდ მოპოვებული	სულ
კერამიკა	128	72	36	236
ლოთონი				
ბრინჯაო		38		38
რკინა	5	68	5	78
ვერცხლი		11		11
შერეული		7		7
სულ				134
ქვა				
ობსიდიანი	6		1	7
კაჟი	2		2	4
ბაზალტი	1			1
სარდიონი		1	1	2
დაუდგენელი ქვა	2	1		3
სულ				17
მინა		19		19
ძვალი		3		3
ხე		1		1
ტექსტილი		2		2
ბათქაში	1			1
სულ	145	223	45	413

ცხრილი №2 ფუნქციის მიხედვით დაჯგუფებული არტეფაქტები

	ნამოსახლარზე მოპოვებული	სამაროვანზე მოპოვებული	უკონტექსტოდ მოპოვებული	სულ
სუფრის ჭურჭელი	30	47	7	84
სამზარეულო ჭურჭელი	22	24	4	50
საყოფაცხოვრებო ჭურჭელი	76		25	101
საყოფაცხოვრებო ნივთი	1	2		3
საბძოლო იარაღი	1	6	1	8
სამეურნეო იარაღი	12	16	7	35
სამშენებლო	1			1
სარიტუალო		2		2
სამკაული		119	1	120
პირსაფარეშო		5		5
სამოსი		2		2
გაურკვეველი		2		2
სულ	143	225	45	413

ნამოსახლარზე აღმოჩენილი არტეფაქტებიდან უმრავლესია თიხის ჭურჭელი, რომელიც ფორმების მრავალფეროვნებით ხასიათდება. ყველაზე დიდი რაოდენობა თიხის ჭურჭლისა №3 და №5 სახლებში, ღუმელებზე და №4 ორმოში აღმოჩნდა.

ნამოსახლარზე რკინის ნივთებიდან დანა, ცული და მუჯირა გამოვლინდა. რკინის დანა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ჯგუფის არტეფაქტს განეკუთვნება, ხოლო ცული და მუჯირა საბრძოლო იარაღს წარმოადგენს. ქვის მასალა ობსიდიანისა და კაჟისაგან დამზადებული სამეურნეო დანიშნულების იარაღებმა შეადგინა.

სამაროვანზე, თითქმის ყელა სამარხში დადასტურდა ერთიდან სამამდე თიხის ისეთი ჭურჭელი, როგორიც არის ხელადა, დოქი, ქოთანის, კოჭობი, ფიალა და ჯამი (ტაბ. XIII- XV).

სამაროვანზე გამოვლენილი კერამიკა დაჯგუფდა ტიპოლოგიურად. დოქებსა და ხელადებს შორის გამოიყო მსხლისებურტანიანი სამტუჩა და მსხლისებურტანიანი წრიულპირიანი ეგზემპლარები.

მსხლისებურტანიანი, წრიულპირიანი, ჩალისფრად ან წითლად გამომწვარი ხელადები და დოქები წითლად იყო შეღებილი (ტაბ XIV 17,18, 54).

ასევე გამოიყო სადა და შეღებილ ხელაღებსა და დოქებში სამტუნა, ბიკონუსურტანიანი (ტაბ. XV 93) და სამტუნა სფერულტანიანი (ტაბ XXII 136) ფორმები.

ფიალები და ჯამები (ტაბ. XV 94, XXIII 137, 138) პირმოყრილი ან პირგადაშლილი იყო და მათი უმეტესობა წითლად იყო შეღებილი.

ქოთნები სადა და სფერული ფორმისა იყო. კოჭობებში ცილინდრული და ბიკონუსური ფორმები გამოიყო.

ვერც ერთ ჯგუფში ვერ გაერთიანდა ერთი უყურო ხელადა, რომელსაც გვერდებსა და ძირზე გამჭოლი ნახვრეტებისგან შედგენილი სარტყლები და ვერტიკალური ზოლები ამკობს (ტაბ. X V 4).

ასევე ცალკე ტიპად უნდა გამოიყოს ერთი ე.წ. ჩაიდნისებურმილიანი დოქი (ტაბ. XV 104).

ლითონის ინვენტარი (რკინა, ბრინჯაო, ვერცხლი) თითქმის ყველა სამარხშია გამოვლენილი. საბრძოლო იარაღი რკინისაა, შუბისწვერებში გამოიყოფა წაგრძელებულ, ვიწროპირიანი (ტაბ XVII 150) და რომბისებურპირიანი (ტაბ XX 34) ეგზემპლარები.

რკინის საბრძოლო ცულებს ოვალური სატარე ხვრელი, ჩაქუჩისებური ოთხწახნაგა ყუა და ოვალური პირი აქვთ (ტაბ. XX 59).

რკინის სამეურნეო იარაღს დანები და ეჩო წარმოადგენს. დანები სამი ტიპისაა: სწორი (ტაბ XVI 143), მოხრილი (ტაბ. XVII 45, 151, XX 60) და ნამგლისებურპირიანი (ტაბ XX 59).

სამაროვანზე მოპოვებული სამკაული მრავალფეროვანია. გვხვდება რკინის, ბრინჯაოსა და ვერცხლის ბეჭდები, რკინის ხატისუღელი, ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურები, ვერცხლისა და ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლები, ვერცხლის საყურე, სხვადასხვა ფორმისა და მასალისაგან დამზადებული მიძეები. ამ მასალიდან ყურადღებას გავამახვილებთ სამაჯურებსა და ბეჭდებზე. სამაჯურები დამზადებულია ბრინჯაოს, ვერცხლისა და რკინისაგან. ვერცხლისა და ბრინჯაოს სამაჯურებს ახასიათებს მრგვალ ან ოვალურგანიგვეთიანი რკალი (ტაბ XVI 145). რკინის სამაჯურებს შორის, ღეროს შემკულობის მიხედვით გამოიყო სადაღეროიანი და ბურთულეზღეროიანი სამაჯურები.

ასევე მრავალფეროვანია სხალთის სამაროვნის რკინის, ვერცხლისა და ბრინჯაოს ბეჭდები. ზოგი მათგანი მარტივი ფორმისაა და წვრილი მავთულისაგან არის დამზადებული, ზოგი ფარაკიანია. ფარაკიანი ბეჭდები ორნაირია: ოვალურფარაკიანი და მავთულისაგან გაკეთებული ფარაკით. ოვალურფარაკიანი ბეჭდები საბეჭდავებია და მათ ფარაკზე სხვადასხვა გამოსახულებებია აღბეჭდილი.

ხისა და ძვლისაგან დამზადებული რამოდენიმე პირსაფარეშო და საყოფაცხოვრებო ნივთი, როგორც არის სავარცხელი, ილარი, კვირისთავი და სანელსაცხებლე, შეადგენს სხალთის სამაროვნის არტეფაქტების კოლექციას.

კერამიკული ჭურჭლიდან ჯამი, ფიალა, ქოთანი და ხელადა როგორც ნასახლარზე ასევე სამაროვანზეა გავრცელებული (ტაბ. IX).

ქვევრი, ქოცო და ბადია კი მხოლოდ ნასახლარისთვის არის დამახასიათებელი.

არქეოლოგიური გათხრები ძეგლ IV-260 სხალთაზე, მე-80 კმ, თეთრიწყაროს რაიონი

ზოგადად თიხისგან დამზადებული ჭურჭელი ყველაზე გავრცელებული არტეფაქტია როგორც ნასახლარზე, ისე სამაროვანზე. ლითონის საბრძოლო და სამეურნეო და ქვის სამეურნეო და მოსართავი ნივთები უფრო მცირე რაოდენობით, მაგრამ ასევე გვხვდება ორივეგან. ხოლო მინის, ძვლის, ხისა და ქსოვილის არტეფაქტები მხოლოდ სამაროვანზე გამოვლინდა.

6.0 ინტერპრეტაცია

სხალთის ნასახლარი და სამაროვანი კომპლექსური ძეგლია, რომლის თანადროული ძეგლი ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ასე აშკარად დადასტურებული არ იყო. თეთრიწყაროს რაიონში გაითხარა შავსაყდარას ნასახლარი, რომელიც ძალზედ დაზიანებული იყო გვიანდელი რომაული ფენებით და მისი შესწავლა ვერ მოხერხდა. ამოტომ, სხალთის ნასახლარმა ფაქტიურად პირველად გამოავლინდა აქამდე უცნობი და შეუსწავლელი ასპექტები.

სხალთის ნამოსახლარზე აღმოჩენილი საცხოვრებელი ნაგებობები აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული სამშენებლო ტრადიციების მსგავსად ჩანს ნაგები. მაგალითად ბანურსახურავიანი ნაგებობები დადასტურებულია აღმოსავლეთ საქართველოს ძვ. წ. XIV-VI საუკუნეების ძეგლებზე. ამ ტიპის სახლებისათვის დამახასიათებელია ინტერიერის ისეთი, მყარად ჩამოყალიბებული ელემენტი, როგორიც არის პურის საცხობი ორგანოფილებიანი ღუმელი. ეს ფაქტი ბრინჯაოს, რკინისა და კლასიკური ხანის ძეგლების კავშირზე მეტყველებს და კარგ მასალას გვაწვდის საქართველოში მშენებლობის ტრადიციების უწყვეტობისა და შესაბამისად ქართული ეთნოსის გენეზისის კვლევისათვის (შატერაშვილი, 2005).

ნასახლარზე აღმოჩენილ თიხის ჭურჭელს პარალელები ქართლის ელინისტური ხანით დათარიღებულ ძეგლებზე მოეპოვება.

რაც შეეხება ნასახლარზე აღმოჩენილ ქვის მასალას, ობსიდიანისა და კაჟის არტეფაქტები პალეოლითურ სამეურნეო იარაღებად განისაზღვრა. თუმცა, სავსებით შესაძლებელია იარაღები ხელმეორედ კლასიკურ ხანაშიც ყოფილიყო გამოყენებული.

სხალთის სამაროვანზე გამოვლენილი სამარხის ტიპები დამახასიათებელია კლასიკური ხანის ქვემო ქართლისათვის და ზოგადად საქართველოს სხვა რეგიონებისათვის. ქართლის სინქრონულ სამაროვნებზე გვხვდება როგორც ინდივიდუალური ასევე კოლექტიური დაკრძალვის წესი. სხალთის სამაროვანზე კი მხოლოდ ინდივიდუალური სამარხებია გამოვლენილი.

აღსანიშნავია, რომ რკინის საბრძოლო იარაღი, შუბები და ცულები 60-დან ხუთ სამარხშია მოპოვებული. ანთროპოლოგიური კვლევის მონაცემების მიხედვით, სამაროვანზე დაკრძალულ მამაკაცთა რაოდენობა 45% ზე მეტია. ანუ ყოველი მეხუთე მამაკაცი იარაღით დაუკრძალავთ, რაც ასევე განსხვავდება IV-III საუკუნეების საშუალო ფენის მოსახლეობის სამაროვნებზე მოპოვებული სტატისტიკური მონაცემებისგან, სადაც ყოველი მესამე ან მეოთხე მამაკაცი იარაღით დაკრძალული ჩნდებოდა. სხალთის სამაროვნის შესწავლილი მონაკვეთი ცხადყოფს, რომ აქ საშუალო ფენის მოსახლეობა იკრძალებოდა. 60 სამარხიდან ვერ მოხერხდა გამორჩეული ან მდიდრული სამარხების გამოყოფა, რაც, შესაძლოა სამაროვნის სრულად შეუსწავლელობის შედეგიც იყოს. არადა ამ ფართობის, საშუალო ფენის მოსახლეობის სამაროვნები ქვემო ქართლში და მის გარეთაც, როგორც წესი, გვაჩვენებს, რომ

მოსახლეობაში ამ დროისათვის დაწყებულია ქონებრივი დიფერენციაცია (შატბერაშვილი 2005).

სამაროვანზე მოპოვებული კერამიკული ჭურჭლის საფუძველზე სამრხთა ორი ქრონოლოგიური ჯგუფი შეიძლება გამოიყოს. ადრინდელს, ძვ.წ. IV საუკუნის დასაწყისს შესაძლოა მიეკუთვნოს ის სამარხები, რომლებიც შეიცავს სამტუჩა, მსხლისებურტანიან დოქებსა და ხელადებს, უფრო გვიანდელს, ძვ.წ. IV საუკუნის შუახანებს – ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისს კი წრიულპირიანი, მსხლისებურტანიანი დოქებისა და ხელადების შემცველი სამარხები (შატბერაშვილი 2005).

მსხლისებურტანიანი სამტუჩა და წრიულპირიანი დოქები და ხელადები გვხვდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მრავალ სამაროვანზე. ქართლის ტერიტორიაზე მათი გავრცელების ძირითად პერიოდად ძვ.წ. IV და ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისია მიჩნეული (ნარიშკინი 1991).

ასევე მრავლად მოეპოვება ანალოგები სამტუჩა, ბიკონუსურტანიან და სამტუჩა სფეროსებურტანიან ხელადებსა და დოქებს ძვ. წ. IV-III საუკუნეების საქართველოს სხვადასხვა სამაროვნებზე.

პირმოყრილი და პირგადაშლილი ფიალებისა და ჯამების ფორმებიც ზოგადად IV-III საუკუნეებისთვის არის დამახასიათებელი (შატბერაშვილი 2005).

სხალთის სამაროვანზე მოპოვებული მასალიდან აღსანიშნავია ე.წ. ჩაიდნისებურმილიანი დოქი, რომელიც საქართველოში ძვ.წ. V-IV საუკუნეებში ვრცელდება, ხოლო მისი წარმოშობა ირანულ სამყაროს უკავშირდება.

ვერ მოეძებნა პარალელები გამჭოლ ნახვრეტებიან ხელადას (სამარხი №51, არტეფაქტი №199), თუმცა სამარხეული სხვა ინვენტარის მიხედვით ისიც IV-III საუკუნეებს მივაკუთვნეთ.

სამაროვანზე მოპოვებული რიგი კერამიკული ჭურჭლისა V საუკუნისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ასახავს, მაგალითად ქოთნები, კოჭობები, ხოლო ნაწილი, მაგალითად მსხლისებური ფორმის დოქები და ხელადები ძვ.წ. IV-III საუკუნეებისათვის დამახასიათებელ ელემენტებს შეიცავს.

სამაროვანზე მოპოვებული კერამიკის ნაწილი ნამოსახლარზე მიკვლეული ჭურჭლის ფორმებს იმეორებს, რითაც მათი სინქრონულობა დასტურდება. ლითონის სამარხეული ინვენტარიდან შეიძლება გამოიყოს რკინის შუბისწვერები, რომლებიც არ განსხვავდებიან უფრო ადრინდელი პერიოდის საბრძოლო ნივთებისაგან, მაგრამ სამარხეული ინვენტარის მიხედვით IV-III საუკუნეებით თარიღდება.

სხალთის რკინის ცულები ფორმით მსგავსია აღმოსავლეთ საქართველოს VI-III საუკუნეებით დათარიღებულ სხვადასხვა ძეგლზე მოპოვებული ცულებისა (დამბაშიძე 1973; დავლიანიძე 1983; კვიჟინაძე 1975; გაგოშიძე 1982; შატბერაშვილი 2005). ამიტომ ისინიც ანალოგიური პრინციპით დათარიღდა.

რკინის სამეურნეო იარაღებიდან აღსანიშნავია მოხრილი და ნამგლისებური დანები, რომლებიც, შესაძლოა, ვაზის სასხლავად გამოიყენებოდა.

რკინის ეჩო, რომელიც ხის დამუშავებისათვის იხმარებოდა, ერთ-ერთი იშვიათი ეგზემპლარია და ქვემო ქართლის სინქრონულ ძეგლებზე აქამდე არ იყო მიკვლეული. იგი თავისი ფორმით უახლოვდება წინარეკლასიკური ხანის ამავე დანიშნულების ნივთებს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ რკინის საბრძოლო და სამეურნეო იარაღში თითქმის არ გვხვდება სიახლეები და ისინი წინა პერიოდის მასალებთან ძალიან ახლოს დგას.

სამაროვანზე მოპოვებული მრავალფეროვანი სამკაულიდან დამთარიღებელი მნიშვნელობის არის ოვალურ და მრგვალრკალიანი, ბურთულეებდეროიანი სამაჯურები, რომლებიც ძვ.წ. IV საუკუნის პირველი ნახევრითა და შუახანებით თარიღდება. ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევარს განეკუთვნება სწორზურგისა და ზურგშეზნექილი სამაჯურები, რომლებიც სავარაუდოდ ძვ.წ. III საუკუნემდე არსებობს

(გოგობერიძე 2003). ასე რომ, რკინის ბურთულეებდეროიანი სამაჯურები მსხლისებურ დოქებთან ერთად ძვ.წ. IV და IV-III ს.ს-ის მიჯნის კომპლექსებისთვის განმსაზღვრელ ნივთებად უნდა ჩაითვალოს.

ასევე ძვ.წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებულ სამარხულ კოლექციებში მოპოვებულ ბეჭდებთან ეძებნებათ ანალოგები სხალთის ბეჭდებს (მარგიშვილი 1992; რამიშვილი, შატბერაშვილი 1997; დავლიანიძე 1983; აბრამიშვილი 1980; შატბერაშვილი 2005).

ძვლის პირსაფარეშო ნივთების ანლოგიური მასალა საქართველოში ცნობილი არ არის, თუმცა ისინიც სამარხული ინვენტარის მიხედვით ძვ.წ. IV-III საუკუნეებით თარიღდა.

ამგვარად, სამაროვნის მასალის ტიპოლოგიური ანალიზისა და ანალოგიური მასალის საფუძველზე შესაძლებელია განვსაზღვროთ სამაროვნის თარიღი ძვ.წ. IV-III საუკუნეებით.

პალეოლოგიური კვლევების შედეგად შესაძლებელი გახდა IV-III საუკუნეებში განვითარებული მეურნეობის დარგების განსაზღვრა. ამ პერიოდში სხალთის მიდამოებში ადამიანის ძირითადი საქმიანობის ტიპი მეცხოველეობა ყოფილა, ხოლო მიწათმოქმედებას დიდი მასშტაბები არ ჰქონია. მეზღვრობა და მევენახეობა ასევე განვითარებული ყოფილა.

ლითონის ნივთებსა და ადამიანის ძვლებზე გამოვლენილი სელისა და ბამბის ქსოვილების ნაშთებმა გვიჩვენა, რომ იმ დროინდელი ადამიანი სელისა და ბამბის მოყვანას მისდევდა. ამავე დროს გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნა იმდროინდელი ადამიანის ჩაცმულობაზეც.

პალეოზოოლოგიურმა კვლევამ განამტკიცა პალეოლოგიური ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემები. გაირკვა, რომ სამარხებზე შესრულებული ალაპი შინაური ცხოველის, ღორებისა და ძროხების, ძვლებისგან შედგებოდა. რამაც დაადასტურა მეცხოველეობის განვითარება.

სხალთის ნასახლარისა და სამაროვანის შესწავლამ ერთდროულად წარმოაჩინა როგორც ახალი ცნობები, ისე ახალი საკვლევი თემები, რამაც აშკარა გახდა ძეგლის მნიშვნელობა. უდაოა, სხალთის ნასახლარი

არქეოლოგიური გათხრები ძეგლ IV-260 სხალთაზე, მე-80 კმ, თეთრიწყაროს რაიონი

და სამაროვანი ერთერთ პირველწყაროს წარმოადგენს ძვ.წ. IV-III საუკუნეების ქართლის ისტორიის შესწავლისათვის.

7.0 დასკვნები და რეკომენდაციები

ადგილ სხალთაზე არქეოლოგიური სამუშაოები არ შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს, რადგანაც ძეგლის ჩრდილოეთი და სამხრეთი საზღვრები დაუდგენელი და გაუთხრელია, ხოლო მიკვლეული ნაგებობები ძალზე დაზიანებულია და სრული ინფორმაციის მოპოვების საშუალებას არ იძლევა. სასურველია, მომავალში, დერეფნის გარეთ ჩატარდეს გეოფიზიკური კვლევები, რის შედეგადაც გამოიკვეთება ძეგლის გავრცელების საზღვრები. ამის შემდეგ, გეოფიზიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, სასურველია გაგრძელდეს არქეოლოგიური გათხრები მილსადენების კორიდორს გარეთ, დაუზიანებელ ფართობებზე, რათა გაჩნდეს შესაძლებლობა იმისა, რომ საველე თუ ლაბორატორიული სამუშაოების პროცესში წამოჭრილ საკვლევ თემებს საფუძვლიანად გაეცეს პასუხი. ნაგებობების ფუნქციისა და საამშენებლო სტილის მიხედვით უნდა განისაზღვროს დასახლების ტიპი, (სოფელი, სატაძრო დასახლება, ქალაქი თუ სხვ.), სამაროვნის სრული შესწავლის შემდეგ უნდა გაკეთდეს დემოგრაფიული მდგომარეობისა და მოსახლეობის სოციალური სტრატეფიკაციის ანალიზი. დამატებითი ანთროპოლოგიური მასალის დამუშავებისას ყურადღება გამახვილდება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მოსახლეობის სქესი, ასაკი, ჯანმრთელობა, ტრავმები, სიკვდილის მიზეზი, კვების რაციონი და სხვ.

დამატებითი გათხრების შედეგად, შესაბამისად მოძიებული იქნება ახალი მცენარეული და ფაუნისტური მასალა, რომელიც თავის მხრივ პალეოგარემოს კვლევაში ახალი ინფორმაციის წყაროდ იქცევა.

ასევე მნიშვნელოვანი იქნება იმ მრავალფეროვანი ორგანული მასალის რადიო-კარბონული ანალიზის გაკეთება, რომელიც მოპოვებული იქნა როგორც სამაროვანზე, ასევე ნამოსახლარზე, რაც განამტკიცებს ძეგლის თარიღს, ძვ.წ. IV-III საუკუნეებს, რომელიც მივიღეთ დამატარიღებელი არტეფაქტების, ძირითადად კერამიკის საფუძველზე.

საერთო ჯამში, ზემოთაღნიშნული სამუშაო უფრო კარგად წარმოგვიდგენს წინარეელინეოლითური და ელინეოლითური ხანის ქვემო ქართლის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების სურათს.

8.0 ბიბლიოგრაფია

აბრამიშვილი რ., რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ.წ. XIV-VIII ს.ს.) სსმმ ტ. XXII- , თბ. 1961

დავლიანიძე ც, 1983

გაგოშიძე ი., თრიალეთის სამაროვნები III, თბ., 1982

ღამბაშიძე, ო. 1973

გოგიბერიძე, ნ., 2003

ადრეანტიკური ხანის სამაჯურების ერთი ტიპის დათარიღებისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის «მაცნე», გვ. 137-142

კვიჟინაძე კ.

თეთრიწყაროს ადრეანტიკური ხანის ძეგლები, მსკაV, თბილისი 1973, გვ., 39-48

მარგიშვილი ს.

ანტიკური ხანის მდიდრული სამარხები ალგეთის ხეობიდან, თბილისი 1992

Нариманишвили Г.К., Керамика Картли V-I вв. до н.э., Тб., 1990

რამიშვილი ქ., შატბერაშვილი ვ.

ლითონის საბეჭდავი ბეჭდები ეცოს სამაროვნიდან, ძეგლის მეგობარი №3 (98), თბილისი 1997, გვ. 21-22

შატბერაშვილი ვ.

ქვემო ქართლი ძველი წელთაღრიცხვის IV–I საუკუნეებში (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით), თბილისი 2005, ავტორეფერატი

დანართი

კერამიკული ჭურჭლის რესტავრაცია-კონსერვაციის ანგარიში

მერაბ ძნელაძე

სხალთის ნამოსახლარსა და სამაროვანზე არტეფაქტების ძირითად ნაწილს კერამიკა წარმოადგენდა. მათგან 63 ჭურჭელი აღსადგენი იყო. საბოლოოდ 19 გადაირჩა აღსადგენად.

ჭურჭლის აღდგენისათვის შემდეგი მეთოდი იქნა გამოყენებული: ერთნაირი ფრაგმენტები გადაირჩა და შეწებდა. ის მორფოლოგიური ნაწილები, რომლებიც შემორჩენილი არ იყო, თავიდან გაკეთდა ან შეივსო თაბაშირით. თიხის ჭურჭლის შეწებება მოხდა წებო Resin CO-M300-ით.

კერამიკის რესტავრაცია-კონსერვაციისათვის გამოყოფილ ხუთ დღეში მთლიანად და ნაწილობრივ აღსდგა შემდეგი თიხის ჭურჭლები: № № 45, 61, 70, 76, 80, 88, 99, 112, 122, 123, 137, 164, 182, 202, 203, 300, 301, 304, 390.

თიხის ჭურჭლის ფორმის აღდგენამ საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა ფორმობრივ-ტიპოლოგიური ანალიზი და მოგვეძია ანალოგიური მასალა. რაც მნიშვნელოვანია არტეფაქტების კლასიფიკაციისა და ზოგადად შედარებითი ქრონოლოგიისათვის.

ლითონის მასალის კვლევის ანგარიში

სხალთის ნასახლარსა და სამაროვანზე მოპოვებული ლითონის 110 არტეფაქტია რესტავრირებული. სპექტრული ანალიზით დადგენილია ექვსი არტეფაქტის ქიმიური შედგენილობა (ცხრ. 1).

1. სამაჯური, სამარხი 23, №20-101 დამზადებულია კალიანი ბრინჯაოსგან (Cu-90,0; Sn-8,25; Pb-0,55), ხასიათდება მაღალი მექანიკური თვისებებით.

2. საკინძი, სამარხი №19, №12-65 დამზადებულია მინარევებიანი სპილენძისაგან (Cu-98,0; Sn-1,25; Ag-0,023), მასალა მაღალპლასტიკურია (კალიანი სპილენძი).

3. საკინძი, სამარხი №4, №15-83 დამზადებულია კალიანი ბრინჯაოსაგან (Cu-88,0; Sn-11,0; Fe-0,02). ოპტიმალური მექანიკური მაჩვენებლებით.

4. სამაჯური, სამარხი №25, №21-106, დამზადებულია კალიანი ბრინჯაოსაგან (Cu-85,0; Sn-14,0), ოპტიმალური მექანიკური მაჩვენებლებით.

5. ჯაჭვი, სამარხი 42, №36-168, დამზადებულია კალიანი ბრინჯაოსაგან (Cu-89,0; Sn-8,5; Pb-2,3), ოპტიმალური მექანიკური მაჩვენებლებით.

6. საკინძი, სამარხი №48, №42-188, დამზადებულია კალიანი ბრინჯაოსაგან (Cu-83,5; Sn-11,5; Pb-3,25), ოპტიმალური მექანიკური მაჩვენებლებით.

სპექტრული ანალიზის შედეგად გამომუდავნდა თეთრიწყაროს რეგიონალურ ლითონდამუშავების ცენტრში კალიანი ბრინჯაოს გამოყენების ტენდენცია. შენადნობის მასალა გამოყენებულია ნივთის დანიშნულების შესაბამისად.

მეტალოგრაფიულად შესწავლილია ხუთი რკინის ნივთი:

1. შუბისწვერი 6-34, საშუალო სისაღის ფოლადი
2. დანა 6-39, დაბალი სისაღის ფოლადი
3. დანა 10-57, დაბალი სისაღის ფოლადი
4. ცული 10-59, საშუალო სისაღის ფოლადი
5. შუბისწვერი 13-72, ცემენტირებული ფოლადი

ბრინჯაოს მასალის სარესტავრაციო სქემა შემდეგნაირია:

რესტავრაციამდე მოხდა თითოეული ნივთის მაკროსტრუქტურულ-მორფოლოგიური შესწავლა და ფოტო ფიქსაცია.

ბრინჯაოს არტეფაქტები დამუშავდა მექანიკურად ლანცეტისა და სხვა ბასრი იარაღების გამოყენებით. სამუშაო მინდინარეობდა მიკროსკოპის ქვეშ, ძლიერ განათებულ პირობებში. №108 ბრინჯაოს რგოლს აღმოაჩნდა ორგანული ჩანართი, შესაძლოა ადამიანის კანის ფრაგმენტი (ტაბ. XXVI, სურ. 2; ტაბ. XXVII სურ. 1,2). გაწმენდილი ნივთები დამუშავდა აცეტონით, მშრალი ნივთები დაიფერა თერმოპლასტიკური აკრილის პოლიმერით, პარალოიდ ბ 72 (პარალოიდ ბ 72 + აცეტონი (40გ. + 1,5ლ.).

რკინის მასალის სარესტავრაციო სქემა შემდეგნაირია:

რკინის ინვენტარი დამუშავდა მექანიკურად, ბორმანქანაზე, აღმასისა და ფოლადის ჯაგრისის საშუალებით.

რკინის ნივთების ნაწილს შერჩენილი ჰქონდა ქსოვილის ნაშთი და სხვა ორგანული ჩანართები (ტაბ. XXVII სურ. 1-14).

ქსოვილის ფრაგმენტები აღმოაჩნდა შემდეგ ლითონის არტეფაქტებს: №97 (ტაბ. XXVII სურ. 3); №190 (ტაბ. XXVII სურ. 4); №118 (ტაბ. XXVII სურ. 5); №195' (ტაბ. XXVII სურ. 6-7); №192 (ტაბ. XXVII სურ. 8); №100 (ტაბ. XXVII სურ. 9-10); №66 (ტაბ. XXVII სურ. 11); №81 (ტაბ. XXVII სურ. 12-13); №206 (ტაბ. XXVII სურ. 14).

მოხდა ორგანული ჩანართებს მიკროფოტო ფიქსაცია (გადიდდა x8).

ქსოვილის ფრაგმენტები დაფარული იყო ოქსიდებით და სხვა მექანიკური ნადებებით.

აღნიშნული ნივთები დამუშავდა ტიტრიპლექსის წყალხსნარით (1ლ. დისტ. წყალი + 40 გრ. ტიტრიპლექსი). ამ მეთოდით გაწმენდის შემდეგ შესაძლებელი გახდა იმის გარჩევა თუ როგორი ქსოვა იყო გამოყენებული.

მექანიკურად გაწმენდილი ნივთები დამუშავდა შემდეგი ხსნარით: ტანინი + სპირიტი + ორთოფოსფორმჟავა, შემდეგ კი მხოლოდ ტანინის სპირტხსნარით (პროცესი განმეორდა რამდენჯერმე). საკონსერვაციოდ ნივთი დაიფარა თერმოპლასტიკური აკრილის პოლიმერით პარალოიდ ბ 72 (პარალოიდ ბ 72 + აცეტონი (40გ. + 1,5ლ.).

არქეოლოგიური გათხრები ძეგლ IV-260 სხალთაზე, მე-80 კმ, თეთრიწყაროს რაიონი

რკინის არტეფაქტების ნაწილს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია. რეკონსტრუქციისას გამოყენებულ იქნა არალდიტი 2020A + გამამყარებელი არალდიტი 2020B + ტალკი + ყავისფერი პიგმენტი.

ვერცხლის მასალის რესტავრაციის სქემა შემდეგნაირია:

ვერცხლის მასალის რესტავრირებისას გამოყენებულ იქნა ქიმიური და მექანიკური მეთოდები. ვერცხლის ნივთების ნაწილი გაიწმინდა ტიტრიპლექსის წყალხსნარით (500 მლ. დისტ. წყალი + 18,5გრ. ტიტრიპლექსი). რესტავრირებული ნივთები დამუშავდა აცეტონით და მშრალი ნივთები დაიფრა თემოპლასტიკური აკრილის პოლიმერით, პარალოიდ ბ 72 (პარალოიდ ბ 72 + აცეტონი (40გ + 1,5ლ).

რესტავრაციამდე და მის შემდეგ მოხდა ნივთების ფოტო ფიქსაცია (ტაბ. XXVI სურ. 1,2,4), (ტაბ. XVI სურ. 1; ტაბ. XVIII, ტაბ. XX; ტაბ. XXVI სურ. 3).

ცხრილი №1 სპექტრული ანალიზის შედეგები

№	ლაბ. შიფრი	ნივთის დასახელება	აღმოჩენის ადგილი	Cu	Sn	Pb	Zn	Bi	Ag	Sb	As	Fe	Ni	Co	Au
1	U-693	სამაჯური	სამარხი 23 20/101	90, 0	8, 25	0, 55		0,008	0,0 8			0, 00 7	0,0 12		
2	U-694	საკინძი? ჯაჭვი	სამარხი 19 12/65	98, 0	1,2 5	0, 00 2			0,0 23						
3	U-695	საკინძი	სამარხი 4 15/83	88, 0	11, 0			0,003	0,0 15			0, 02	0,0 12		
4	U-696	სამაჯური	სამარხი 25 21/106	85, 0	14, 0			0,003	0,5 5			0, 06	0,0 09		
5	U-697	ჯაჭვი	სამარხი 42 36/168	89, 0	8, 5	2, 3		0,04	0,3	0, 8		0, 03	0,1	0, 00 1	
6	U-698	საკინძი	სამარხი 48 42/188	83, 5	11, 5	3, 25		0,005				0, 00 7	0,0 6		

ცხრილი №2 სპექტრული ანალიზის შედეგები

არქეოლოგიური გათხრები ძეგლ IV-260 სხალთაზე, მე-80 კმ, თეთრიწყაროს რაიონი

№	ლაბორატორიის შიფრი	ნივთის დასახელება	აღმოჩენის ადგილი	C	Mn	Si	Ni	შენიშვნა
1		შუბისწვერი	№6-34	0,4	0,02	0,04	0,01	საშუალო სისხლის ფოლადი
2		დანა	№6-39	0,25	0,05	0,21	0,02	დაბალი სისხლის ფოლადი
3		დანა	№10-57	0,2	0,07	0,25	0,01	დაბალი სისხლის ფოლადი
4		ცული	№11-59	0,5	0,11	0,07	0,11	საშუალო სისხლის ფოლადი
5		შუბისწვერი	№13-72	0,2- 0,6	0,05	0,35	0,01	ცემენტირებული ფოლადი

ანთროპოლოგიური კვლევის ანგარიში

ნანა კილაძე

სხალთის სამაროვანზე მოპოვებული 28 ინდივიდის ძელოვანი მასალა კვლევისათვის გადაეცა ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიის განყოფილებას. სამაროვანზე აღმოჩენილი დანარჩენი ინდივიდის ძელოვანი ნაშთები ცუდად იყო შემონახული და კვლევისათვის არ გამოდგებოდა. ამიტომ ისინი ხელახლა დაიმარხა სამაროვანზე, ერთ-ერთ ქვაყუთში. თუმცა ისეთი მონაცემები, როგორიც არის სქესი და ასაკი წინასწარულად ველზე განისაზღვრა.

ანთროპოლოგიური მასალა შემდეგნაირად დამუშავდა: ძვლები გაიწმინდა, გაირეცხა, შეწებდა სპეციალური წებოთი (სანთელითა და კანიფოლით) სპირტქურის ალზე გაცხელებით. შემდეგ მოხდა ანთროპო-მორფოლოგიური ნიშნების შესწავლა.

ინდივიდები ძირითადად მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილ პოზაში იყვნენ დაკრძალულები. გამონაკლისს წარმოადგენდა ქვაყუთები №№25; 51; 55; 57 და ორმოსამარხი №14, სადაც ინდივიდები მარცხენა გვერდზე ესვენა.

იმის გამო, რომ ძვლები ცუდად იყო დაცული, რიგ შემთხვევებში ველზე, წინასწარ მიღებული ინფორმაცია ლაბორატორიული კვლევის შემდეგ შეიცალა. ასე მაგალითად, ორმოსამარხი №14 მოპოვებული მამაკაცის (♂) ასაკი 60-70 წელი ქალაზე არსებული ნაკერების გაძვალეობით და კბილების ცვეთის მიხედვით (M3 მოლარით) გაახალგაზრდავდა 45-50 წლამდე (ტაბ. I. 1).

ორმოსამარხ №50 აღმოჩენილი 12-16 წლის მოზარდი (Inf.) ამოსული პრემოლარებით და მოლარებით და კბილების დაფესვიანების მიხედვით დადგინდა, რომ არის 16-20 წლის დედაკაცი (♀) (ტაბ. I. 2).

ქვაყუთ №29 მოპოვებული მამაკაცის (♂) ასაკი 50-55 წელი კბილების ცვეთის, ამოსული მოლარებისა და ქალაზე ნაკერის გაძვალეების მიხედვით გაახალგაზრდავდა 30-35 წლამდე.

ქვაყუთ №42 აღმოჩენილი ინდივიდი განისაზღვრა როგორც 30-35 წლის დედაკაცი (♀) და შემდეგომ შუბლის ძვლის დაქანებით, წარბზედა რკალით, კეფითა და დვრილისებური მორჩების მიხედვით დადგინდა რომ არის 25-30 წლის მამაკაცი (♂) .

ქვაყუთ №28 მოპოვებული ინდივიდის ასაკი და სქესი, 35-40 წლის დედაკაცი (♀), დადგინდა კბილებისა და მენჯის სარტყლის 90°-იანი კუთხის მეშვეობით, რაც ქალისათვის არის დამახასიათებელი (ტაბ. II. 1).

ქვაყუთ №17 მოპოვებული ინდივიდის ასაკი და სქესი 60-65 წლის მამაკაცი (♂) გრაცილური, გავისა და უსახელო ძვლების და ბარძაყის თავის დაქანების მიხედვით გაირკვა, რომ არის 50-55 წლის დედაკაცი (♀).

ქვაყუთ №19 მოპოვებული ინდივიდის ასაკი და სქესი 45-50 წლის მამაკაცი (♂) კბილების (პრემოლარები, მოლარები), ქვედა ყბის კუთხის და გავის ძვლების გრაცილურობის მიხედვით გაირკვა, რომ არის 16-20 წლის დედაკაცი (♀).

ამ სამაროვანზე მოპოვებული ძელოვანი მასალა გრაცილური, რელიეფი, სადა და გლუვია. ქალები მეზოკრანული.

სხეულის სიმაღლის განსაზღვრა მარტინის მიხედვით (Martin 1957) შესაძლებელი იყო 15 მამაკაცისა და ოთხი ქალის გრძივი ძვლების განაზომების მიხედვით. მამაკაცებში სხეულის სიმაღლე 1.533მ – 1.793მ ფარგლებში ცვალებადობს, ხოლო ქალებში 1.552მ – 1.613მ. მამაკაცების საშუალო სიმაღლე 1.672მ, ქალების 1.579მ. მარტინის მიხედვით, სხალთის მოსახლეობის სხეულის სიმაღლე საშუალოზე მაღალ კატეგორიაში ხვდება (Рогинский, Левин 1978).

სხალთის სამაროვანზე მოპოვებული კრანოლოგიური მასალა განაწილდა სქესისა და ასაკის მიხედვით. მოყვანილი მონაცემები ობიექტურად ვერ ასახავენ მოკვდაობის რეალურ სტრუქტურას, რადგან ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები მხოლოდ ნავთობსადენის დერეფანში გათხრილი სამარხებიდან მომდინარეობს. ხოლო მთლიანად ამ სამაროვანის მოსახლეობის მოკვდაობის დონე ჩვენთვის უცნობი რჩება. იუხედავად ამისა, მიღებული ინფორმაცია მეტად საინტერესოა რამდენიმე თვალსაზრისით. მოკვდაობის ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზმა სქესის მიხედვით გვიჩვენა, რომ ქალების 57 % გარდაიცვალა რეპროდუქციულ ასაკში (15-45 წლამდე), თუ ჩვენ რეპროდუქციულ ასაკის ზღვარს გავზრდით 50 წლამდე, მაშინ რეპროდუქციულ ასაკში მეოფი გარდაცვლილი ქალების რაოდენობა კიდევ იზრდება 64,3 % -მდე. რეპროდუქციული ასაკი 18-55 წლებით იფარგლება, ხოლო ამ ასაკში გარდაცვლილთა რაოდენობა 77,3 % აღწევს. მთლიანობაში აქვე უნდა

არქეოლოგიური გათხრები ძეგლ IV-260 სხალთაზე, მე-80 კმ, თეთრიწყაროს რაიონი

აღინიშნოს, რომ მამაკაცებში ქალებთან შედარებით მოკვდაობა მაღალია თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოკვდაობა ერთ დონეზე ფიქსირდება (ცხრ. 1; ნახ. 1).

ზოგადად, არსებული მონაცემების საფუძველზე გარდაცვლილთა რაოდენობა შემდეგნაირად განაწილდა: 46,7 % მამაკაცი, 29,8 % დედაკაცი და 23,4% ბავშვი.

ბავშვების რაოდენობა მოსახლეობაში ბევრად მეტია და მოკვდაობა ბევრად მაღალი იქნებოდა. ბავშვთა ჩონჩხები, განსაკუთრებით კი ძალიან მცირე ასაკის, უფრო ხშირად ჩაშლილ მდგომარეობაში გვხვდება მიწაში და ამიტომ მათი რაოდენობა ყოველთვის შემცირებულია. თუ გავითვალისწინებთ ბავშვთა მოკვდაობას ჩვენს მასალებში, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა შემცირდება 34,4 წ.

პალეომასალებში მამაკაცების რაოდენობა, ყოველთვის ჭარბობს დედაკაცებისას. რაც ალბათ გარკვეულწილად ასახავს არსებულ სქესთა შეფარდებას.

სხალთის სამაროვნის მონაცემების მიხედვით, სხალთის მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა (ცხრ. 1. ნახ. 1) პრაქტიკულად ანალოგიურია საქართველოს იმდროინდელი მომსახლეობისათვის გამოთვლილი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობისა.

(ბითაძე 2005).

ლიტერატურა:

1. ბითაძე ლ.ო. საქართველოს უძველესი მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის დინამიკა. „კლიო“, №26 2005 წ.
2. Рогинский Я.Я., Левин М.Г., Антропология, "Высшая школа", М., 1978.
3. Martin R., Saller K., Lehrbuch der Anthropologie, Stuttgart, 1957.


ცხრილი №1

სხალთის სამაროვანზე მოპოვებული ინდივიდების განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით


ასაკი	♂		♀		ch			
	n	%	n	%	n	%	n	%
0-4	-	-	-	-	5	10,6	5	10,6
5-9	-	-	-	-	2	4,3	2	4,3
10-14	-	-	-	-	1	2,1	1	2,1
15-19	1	2,1	1	2,1	3	6,4	5	10,6
20-24	-	-	1	2,1	-	-	1	2,1
25-29	3	6,4	2	4,3	-	-	5	10,6
30-34	3	6,4	3	6,4	-	-	6	12,8
35-39	1	2,1	1	2,1	-	-	2	4,3
40-44	-	-	-	-	-	-	-	-
45-49	5	10,6	1	2,1	-	-	6	12,8
50-54	4	8,5	3	6,4	-	-	7	14,9
55-59	1	2,1	-	-	-	-	1	2,1
60→	4	8,5	2	4,3	-	-	6	12,8
სულ	22	46,7	14	29,8	11	23,4	47	99,9
საშუალო ასაკი	44,4		39,7				34,4	

სქემა 1 სხალთის მოსახლეობის განაწილება სქესისა და ასკის მიხედვით

ა) მამაკაცები




ბ) დედაკაცები



გ) მთლიანი მოსახლეობა ბავშვების ჩათვლით

არქეოლოგიური გათხრები ძეგლ IV-260 სხალთაზე, მე-80 კმ, თეთრიწყაროს რაიონი



პალეოზოოლოგიური კვლევის შედეგები

ოლეგ ბენდუქიძე

სხალთის ნამოსახლარსა და სამაროვანიდან 30 პალეოზოოლოგიური ნიმუში შეირჩა საანალიზოდ. ყველა მათგანი გაიწმინდა, შეწებდა, იდენტიფიცირდა და მომზადდა ფოტოგადაღებისათვის. გამოიკვეთა შემდეგი სურათი, კერძოდ, თითქმის ყველა სამარხზე ან სამარხში მოპოვებული ძვლები წარმოადგენდა ალაპს. ალაპი ძირითადად ბურვაკის უკანა ფეხის ძვლების ნაშთებისაგან შედგებოდა (ტაბ. XXIX სურ.1)

ამას გარდა, ზოგიერთ სამარხში მოზვერისა და ძროხის ნაშთებიც აღმოჩნდა (ტაბ. XXIX სურ. 2). ძვლების ნაკრები ძირითადად საქონლის თავის ქალისა და კიდურებისაგან შედგებოდა. ეს ფაქტი, შესაძლოა, მიგვითითებდეს იმაზე, რომ სამარხებში თავებისა და კიდურების ჩატანების წესი ძალიან ძველი რიტუალია, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში არსებობდა ადრე ბრინჯაოს ხანიდან.

აღსანიშნავია, რომ სხალთის სამაროვანზე აღმოჩენილ საქონლის ძვლებს მომზადების კვალი არ ეტყობოდათ. როგორც ჩანს საქონლის ხორცს ან სხეულის ნაწილებს უმად, მოუმზადებლად ატანდნენ. რაც განსხვავდება იმ რიტუალისაგან, რომელიც დაფიქსირებულია უფრო ადრინდელ, ბრინჯაოს ხანის, წალკასა და ბედენის ზეგანზე გამოვლენილ სამარხებში. ამ სამარხებში საქონლის ძვლები ძირითადად თიხის ჭურჭელში ჩადებული ჩნდებოდა. საფარ-ხარაბას სამაროვნის პალეოზოოლოგიურმა კვლევამ დაადასტურა, რომ ამ ჭურჭლების შიგთავსის შემადგემლობაში საქონლის ძვლების გარდა საკმაზებიც შედიოდა. როგორც ჩანს მიცვალებულს გამზადებულ კერძებს ატანდნენ.

სხალთის ძროხა, პატარა ზომისაა და სავარაუდოდ, ახლოს დგას ე. წ.

ხეხურული ჯიშის ძროხებთან. მსგავსი ჯიშის ძროხები გავრცელებულია მთელს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გვიან ბრინჯაოს

არქეოლოგიური გათხრები ძეგლ IV-260 სხალთაზე, მე-80 კმ, თეთრიწყაროს რაიონი

ხანიდან მოყოლებული. თუმცა შუა ბრინჯაოს ხანაში, თრიალეთური კულტურის ძეგლებიდან ცნობილია პატარა და დიდი ზომის, ორი სხვადასხვა ჯიშის ძროხა. ახალციხის რეგიონში აღმოჩენილ კლასიკური ხანის ძეგლებზეც დადასტურდა მსგავსი ჯიშების, დიდი და პატარა ზომის ძროხების არსებობა.

სხალთის ღორის ჯიშის განსაზღვრა ვერ მოხერხდა, რადგანაც ზრდასრული ცხოველის ძვლები არ აღმოჩენილა. როგორც ცნობილია, ახალგაზრდა ცხოველის ძვლები პალეოზოოლოგიური კვლევისათვის ნაკლებად გამოსადეგია. ამიტომ, შეიძლება მხოლოდ ის ითქვას, რომ სხალთის ღორი თავისი ზომებით თანამედროვე, შავი, კახური ჯიშის ღორს უახლოვდება.

პალეობოტანიკური კვლევის ანგარიში

**ნ. რუსიშვილი
ნ. მელაძე**

ნამარხი ბოტანიკური მასალის გამოვლენის მიზნით, დავამუშავეთ სხალთის ნამოსახლარის სხვადასხვა ორმოებიდან და სათავსოებიდან აღებული ნიადაგის ნიმუშები. სულ შევისწავლეთ 4 ნიმუში. ნიადაგის ნიმუშები ჯერ დათვალიერებულ იქნა მიკროსკოპით, ხოლო შემდეგ დამუშავდა ფლოტაციური მეთოდით, რაც გულისხმობს ნიადაგის გარეცხვას წყლისა და CCL₄-ის გამოყენებით. შემდგომ მოხდა გამოვლენილი მასალის ფრაქციებად დაყოფა სხვადასხვა დიამეტრის საცრის საშუალებით, გაშრობა, გამაგრება-კონსერვაცია და საიდენტიფიკაციოდ მომზადება. მაგრამ ვერც ნიადაგის დათვალიერებამ, ვერც ფლოტაციურმა დამუშავებამ ნამარხი ბოტანიკური ნარჩენები ვერ დააფიქსირა.

პალინოლოგიური კვლევის ანგარიში

ელისო ყვავაძე

სხალთის ნასახლარსა და სამაროვანზე შეგროვილ იქნა მიწის 9 ნიმუში. აქედან ორი №3 და №5 შენობებიდან, სამი №5, №10 და №16 ორმოებიდან და ოთხი №4, №23, №28 და №48 სამარხებიდან (ცხრილი №1).

ნიმუშები პალინოლოგიაში ცნობილი შემდეგი სტანდარტული ლაბორატორიული მეთოდით დამუშავდა. პირველ ეტაპზე მასალა მოიხარშა კალიუმის ტუტეში, მეორე ეტაპზე მოხდა მისი მძიმე სითხეში ცენტრიფუგირება, მესამე ეტაპზე კი მისი აცეტოლიზი, ანუ შეღებვა. რის შედეგადაც გამოიყო საკმარისი რაოდენობის მტვრის მარცვლები.

ასევე მრავლად აღმოჩნდა მტვრის მარცვლები იმ ორგანულ ნაშთებში, რომლების სამარხებში მოპოვებულ სამაჯურებზე იყო მიკრული და ტექსტილის ნარჩენებს წარმოადგენდა. ტექსტილის მიკროსკოპულმა ანალიზმა აჩვენა რომ ქსოვილი სელისგან იყო დამზადებული. როგორც ჩანს იგი მიცვალებულის ტანსაცმლის ფრაგმენტი უნდა ყოფილიყო (ტაბ. XXX, სურ. 1,2). აგრეთვე აღმოჩნდა ბამბის ტექსტილის ბოჭკოებიც (ტაბ. XXX, XXXI). სამაჯურების გარდა როგორც სელის, ისე ბამბის ბოჭკოები ორმოებსა და სახლების ფენებშიც გვხვდება (ტაბ. XXXII, XXXIII).

პალინოლოგიური კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ძვ. წ. აღ. IV-III საუკუნეებში სხალთის მიდამოებში მეურნეობის ძირითადი ტიპი მესაქონლეობა იყო. აქ საძოვრებზე გავრცელებული ბალახოვანი მცენარეების მტვრის რაოდენობის მაჩვენებელი მაღალია, სამიწათმოქმედო მცენარეული კულტურის ელემენტების მაჩვენებელი კი გაცილებით ნაკლები, რაც ნაკლებად განვითარებულ მიწათმოქმედებაზე მიუთითებს (ტაბ. XXXIV). ადამიანი აქ ძირითადად ხორბალს თესავდა, ასევე განვითარებული იყო მებაღეობა და მევენახეობა. აღმოჩენილია კულტურული ვაზის, კაკლისა და თხილის მტვრის მარცვლები.

რაც შეეხება იმდროინდელ ბუნებრივ მცენარეულ საფარს, სხალთის მიდამოებში ტყე ხარობდა. ამის მაჩვენებელია დიდი რაოდენობით მოპოვებული ხემცენარეთა ჯგუფის მტვერი და ტყის გვიმრების სპორები. მოსწორებულ ადგილებზე, სადაც არ იყო ნათესები და ბაღები რცხილის ტყე იზრდებოდა. ახლომდებარე ქედებზე წიწვოვანი ხეების გარდა წიფელი, არყა, იელი და მაღალმთის მუხა იყო გავრცელებული. ნესტიან ხეობებში კი მურყანი და თელა იზრდებოდა.

ამრიგად, ველური და კულტურული მცენარეულობის კომპლექსი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ კლიმატური პირობები გვიან ბრიჯაოს ხანასთან შედარებით, ელინისტურ ხანაში გაცილებით გრილი უნდა ყოფილიყო. პალინოლოგიურ კომპლექსში აღარ არის ისეთი სითბოსმოყვარული მცენარეები, როგორიცაა წაბლი, ძელქვა, ცაცხვი და ლაფანი. გრილი და ნოტიო ჰავა ხელს უწყობდა სელის მოყვანას. ჩვენი ანალიზებიც ცხადყოფს, რომ სელისგან დამზადებული ქსოვილი გავრცელებული იყო ამ ნამოსახლარის ბინადართ შორის.

არქეოლოგიური გათხრები ძეგლ IV-260 სხალთაზე, მე-80 კმ, თეთრიწყაროს რაიონი


სხალთის ნასახლარსა და სამაროვნიდან მოპოვებული მცენარეთა მტკვრის და სპორების რაოდენობა


სხალთა, თეთრიწყარო	სამ4	სამ.23	სამ.28	სამ48	ორ.10	ორ.16	ორ.5	სახ.3	სახ.5
ნიმუშის ნომერი	1	2	3	4	5	6	7	8	9
ხემცენარეთა ჯგუფი:									
<i>Picea orientalis</i>	3	1	4	30	0	0	0	0	0
<i>Pinus</i>	15	8	12	60	2	1	12	2	4
<i>Cedrus</i>	1	0	0	0	0	0	0	0	0
<i>Fagus orientalis</i>	3	1	0	2	0	0	0	0	0
<i>Betula</i>	1	0	0	3	0	0	1	0	0
<i>Juniperus</i>	0	0	0	1	0	0	0	0	0
<i>Juglans regia</i>	0	2	0	2	0	0	0	0	0
<i>Carpinus caucasica</i>	2	1	0	11	0	0	2	1	2
<i>Carpinus orientalis</i>	1	0	0	2	0	0	0	0	0
<i>Alnus</i>	1	0	0	1	1	0	1	0	2
<i>Quercus</i>	3	1	0	4	0	0	0	0	0
<i>Ulmus</i>	0	1	1	0	0	0	0	0	0
<i>Corylus</i>	4	1	0	1	0	0	0	1	1
<i>Vaccinium</i>	0	0	0	2	0	0	0	0	0
<i>Rhododendron</i>	2	0	1	2	0	0	0	0	0
<i>Vitis vinifera</i>	0	3	0	0	0	0	0	0	0
ხემცენარეთა ჯგუფის ჯამი	36	19	18	121	3	1	16	4	9
ბალახოვანთა ჯგუფი:									
<i>Poaceae</i>	15	6	10	11	3	0	3	4	3
<i>Triticum</i>	2	2	0	4	0	2	2	2	1
<i>Cerealia</i>	4	3	2	4	0	3	6	2	2
<i>Chenopodiaceae</i>	21	11	0	21	0	0	0	2	0
<i>Chenopodium album</i>	1	1	0	0	0	0	0	0	0
<i>Artemisia</i>	3	1	0	4	0	0	0	0	0
<i>Aster type</i>	2	0	2	2	1	0	0	4	2
<i>Achillea</i>	1	0	0	1	0	0	0	0	0
<i>Cichorioidae</i>	4	7	0	2	0	0	20	15	0
<i>Carduus</i>	1	0	0	0	0	1	0	4	1
<i>Centaurea</i>	2	0	0	0	0	0	0	0	0
<i>Cirsium</i>	1	0	0	0	0	0	0	0	0
<i>Serratula</i>	0	0	0	0	0	0	0	2	0
<i>Xanthium</i>	0	0	0	1	0	0	0	0	0
<i>Fagopyrum</i>	0	0	0	2	0	1	0	0	0
<i>Polygonum type</i>	2	0	0	1	1	1	2	5	0


არქეოლოგიური გათხრები ძეგლ IV-260 სხალთაზე, მე-80 კმ, თეთრიწყაროს რაიონი

Polygonum aviculare	1	0	0	1	0	0	0	0	0
Polygonum bistorta	1	0	0	0	0	0	0	0	0
Convolvulus	1	0	0	0	0	0	0	0	0
Urtica	1	2	0	2	0	0	0	0	0
Ranunculus	2	0	0	1	0	0	0	1	0
Apiaceae	6	0	0	2	0	0	4	2	0
Heracleum type	4	0	0	1	0	0	0	0	0
Caryophyllaceae	2	1	0	3	0	0	3	0	0
Saxifragaceae	2	0	1	0	0	0	0	0	0
Boraginaceae	0	0	0	3	0	0	2	3	0
Onagraceae	0	0	0	2	0	0	0	0	0
Plantago m/m	0	0	1	1	0	0	0	0	0
Plantago lanceolata	0	0	0	0	0	0	0	1	0
Ophioglossum	0	0	0	0	0	0	0	2	0
Sphagnum	1	0	0	1	0	0	0	0	0
Bothrychium lunaria	9	2	1	20	0	0	0	0	0
Polypodiaceae	87	39	190	85	1	0	1	2	0
Undeterminate NAP	4	4	3	4	0	0	6	3	4
ბალახოვანთა ჯგუფის წამი:	180	79	210	179	6	8	49	54	13
პალინომორფების საერთო წამი	216	98	228	300	9	9	65	58	22


არქეოლოგიური გათხრები პეგლ IV-260 სხალთაზე, მე-80 კმ, თეთრიწყაროს რაიონი


























არქეოლოგიური გათხრები ძეგლ IV-260 სხალთაზე, მე-80 კმ, თეთრიწყაროს რაიონი




TETRI TSKARO
SKHALTA
IV - 260



















































TETRI CKARO
SKHALTA
IV-260

1



2





TETRI CKARO
SKHALTA
IV-260

1



2





TETRI CKARO
SKHALTA
IV-260

